საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი

2007 წელს შედგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის 15 სხდომა.

27 თებერვალს პრეზიდიუმმა დაამტკიცა სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების მიერ წარმოდგენილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2006 წლის ანგარიში და გასაცნობად გადასცა აკადემიის წევრებს.

16 მარტის პრეზიდიუმის სხდომაზე აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ 75 წელი მიულოცა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს აკადემიკოს გურამ თევზაძეს და გადასცა ადრესი.

პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ.ნახუცრიშვილის მოხსენება კავკასიის მცენარეთა წითელი წიგნის საერთაშორისო პროექტის შესახებ.

პრეზიდიუმმა აღძრა შუამდგომლობა თბილისის მერიის წინაშე ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისათვის თვალსაჩინო ქართველი ასტრონომის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ვაშაკიძის სახელის მინიჭების შესახებ.

30 მარტს პრეზიდიუმმა მოისმინა ფარმაც.მეცნ. დოქტ. ა.ბაკურაძის მოხსენება „ფარმაკოქიმიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც ეთხოვა:

1. საქართველოს პარლამენტს:

– იმის გათვალისწინებით, რომ ფარმაცევტული პროფესია მაღალი რისკისა და საფრთხის შემცველია და დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლისა და მისი ჯანმრთელობის დაცვასთან, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის იმ ნაწილში, რომელიც ეხება რეგუ-

ლირებად პროფესიათა ჩამონათვალს, შეიტანოს ცვლილება, რათა კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: სამედიცინო და ფარმაცევტული (მათ შორის სავეტერინარო მედიცინის).

2. საქართველოს მთავრობას:

– დაავალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

ა) შეიმუშაოს და დანერგოს სამკურნალო საშუალებების ფასების ისეთი სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობისათვის;

ბ) მოსახლეობის უსაფრთხო ფარმაკოთერაპიისათვის უზრუნველყოს სამკურნალო საშუალებების რეცეპტით და ურეცეპტოდ გაცემის სისტემის ამოქმედება;

გ) შეიმუშაოს რეკომენდაციები სათანადო საწარმოო, ფარმაცევტული და ლაბორატორიული პრაქტიკის შესახებ ქვეყანაში მათი ეტაპობრივი დანერგვის მიზნით;

დ) სამამულო ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელთა მხარდაჭერის მიზნით შეიმუშაოს მკურნალობის სამედიცინო სტანდარტები, სამამულო სამკურნალო საშუალებების გამოყენებით, როგორც ეს ევროკავშირის ქვეყნებშია მიღებული;

ე) სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს და დანერგოს სამკურნალო საშუალებების კონტროლისა და სერტიფიკაციის სისტემა ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად;

ვ) მოსახლეობის რაციონალური, ეფექტური და უსაფრთხო ფარმაკოთერაპიისათვის ქვეყანაში ჩამოაყალიბოს ბიოეკვივალენტობისა და ფარმაკოკინეტიკის შემსწავლელი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს იმპორტირებული და სამამულო „გენერიული“ პრეპარატების ბიოეკვივალენტობის შეფასებასა და სამკურნალწამლო საშუალებების ფარმაკოკინეტიკურ კვლევებს;

ზ) ჩამოაყალიბოს მინერალური რესურსების შესწავლის ცენტრი მედიცინაში მისი გამოყენების მიზნით;

თ) იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს მიანიჭოს საბაზო სამეცნიერო დაწესებულების სტატუსი ბუნებრივი რესურსების (მცენარეული, ცხოველური და მინერალური) შესწავლის, სამკურნალწამლო საშუალებების სტანდარტიზაციის, ბიოეკვივალენტობის შეფასების, ფარმაკოლოგიური და ფარმაკოკინეტიკური კვლევების დარგში.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

– დაავალოს იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს ორი თვის ვადაში განსახილველად წარმოუდგინოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმს „საქართველოში ფარმაკოქიმიური მეცნიერების და ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის განვითარების“ კონცეფცია მთავრობაში წარსადგენად.

17 აპრილს პრეზიდიუმმა განიხილა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნ.ბაღათურიას მოხსენება „ქართული ღვინოების, ხილ-კენკროვანთა წვენებისა და მინერალური წყლების ნატურალობის მაჩვენებელი კრიტერიუმების დადგენის მეცნიერული საფუძვლები“ და თხოვნით მიმართა:

1. საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს:

– იმის გათვალისწინებით, რომ ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ასევე სხვა პროდუქტების უვნებლობისა და ხარისხის არსებული კონტროლის სისტემა არ უპასუხებს საერთაშორისო მოთხოვნებს, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და მეცნიერ-სპეციალისტთა მონაწილეობით შეიმუშაოს ამ სისტემის არსებითად გაუმჯობესების ღონისძიებანი და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს, რაც ხელს შეუწყობს ევროპის გამოცდილებისა და ქვეყნის რეალური შესაძლებლო-

ბების გამოყენებასა და სათანადო დონეზე ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

– დაავალოს კვების მრეწველობის ინსტიტუტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმზე აღნიშნული საკითხის განხილვისას, სპეციალისტების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, გადაამუშაოს „სუფრის ღვინოების, ხილ-კენკროვანთა წვენებისა და მინერალური წყლების ნატურალურობის მაჩვენებელი ფიზიკურ-ქიმიური კრიტერიუმების“ და „სუფრის ღვინოების, ხილ-კენკროვანთა წვენებისა და მინერალური წყლების ხარისხის კონტროლის მეთოდური მითითებების“ პროექტები.

3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს:

– დაავალოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს განიხილოს კვების მრეწველობის ინსტიტუტის მიერ გადამუშავებული პროექტი და დაამტკიცოს „სუფრის ღვინოების, ხილ-კენკროვანთა წვენებისა და მინერალური წყლების ნატურალურობის მაჩვენებელი ფიზიკურ-ქიმიური კრიტერიუმების“ სახელმწიფო სტანდარტი.

4. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

– განიხილოს კვების მრეწველობის ინსტიტუტის მიერ გადამუშავებული პროექტი და გამოსცეს „სუფრის ღვინოების, ხილ-კენკროვანთა წვენებისა და მინერალური წყლების ხარისხის კონტროლის მეთოდური მითითებები“.

5. ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს:

– ხელი შეუწყოს კადრების მომზადებას „სურსათის ხარისხისა და უვნებლობის მართვის“ პრობლემის გადასაწყვეტად.

15 მაისს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: აკად. გ.კვესიტაძის – „გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გლობალური გავრცელება“ და აკად. თ.ბერიძის – „გენმოდიფიცირებულ პროდუქტთა გამოყენების უსაფრთხოების შესახებ“.

პრეზიდიუმმა დაადგინა გენმოდიფიცირებულ პროდუქტთა გავრცელებისა და საქართველოში მათი გამოყენების საკითხებზე მოწვეულ იქნეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა ამ დარგში საქართველოსა და უცხო ქვეყნების შესაბამისი დარგის სპეციალისტთა მონაწილეობით.

31 მაისს პრეზიდიუმმა მოისმინა ქართული ენციკლოპედიის ირ.აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის საქმიანობის ანგარიში, რომელიც წარმოადგინა მთავარმა რედაქტორმა, პოლიტ.მეცნ.დოქტ. ზ.აბაშიძემ. პრეზიდიუმმა რედაქციის საქმიანობა შეაფასა დადებითად. რედაქციას დაევალა აკადემიის პრეზიდიუმს წარმოუდგინოს ენციკლოპედიის განახლებული სარედაქციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში მოწვეული იქნებიან მეცნიერების, კულტურისა და საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

პრეზიდიუმმა მოისმინა აკად. გ.კვესიტაძის ინფორმაცია აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენელთა შეხვედრაში მონაწილეობის შესახებ.

პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნის შესახებ.

8 ივნისს პრეზიდიუმის სხდომაზე გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ ახალი გამოცემის პრეზენტაცია. წარმოდგენილ იქნა „მოამბის“ ახალი გამოცემის 175-ე ტომი, №1, რომელიც დაურიგდათ სარედაქციო კოლეგიის წევრებსა და ავტორებს. ჟურნალი დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახლადდაარსებულ სტამბაში.

პრეზიდიუმმა მოისმინა აკად.წევრ-კორ. ნ.ალექსიძის მოხსენება „ქრონიკული სტრესი და აგრესია, როგორც პათოლოგიური ორგანიზმების ფორმირების წინაპირობა“. პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა აღნიშნულ საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას.

15 ივნისს პრეზიდიუმმა მოისმინა ფიზ.-მათ.მეცნ. დოქტ. ჯ.ხუბუას მოხსენება „დიდ საერთაშორისო პროექტებში (ცერნისა და დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი) ქართველი ფიზიკოსების მონაწილეობის შესახებ“.

აკად. გ.თევზაძემ გააკეთა მოხსენება „მდინარე წყალწითელას ხეობაში ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო ხაზსა და სოფლებს: გელათს, ცუცხვათს, ნავენახევსა და გოდოგანს შორის მდებარე ტერიტორიისათვის „წყალწითელას ხეობის ეროვნული პარკის“ დაცული ტერიტორიის კატეგორიის მინიჭების შესახებ“. პრეზიდიუმმა მოიწონა მოხსენებაში წამოჭრილი საკითხები და თხოვნით მიმართა სათანადო ორგანოებს მხარდასაჭერად.

29 ივნისს პრეზიდიუმმა მოისმინა აკად. ც.მირცხულავას, ტექნ.მეცნ.დოქტ. გ.გავარდაშვილისა და ფიზ.-მათ.მეცნ.დოქტ. ნ.ბეგალიშვილის მოხსენება „კლიმატის გლობალური ცვლილება სამხრეთ კავკასიაში, მისი ნეგატიური ზემოქმედება გარემოზე და ზიანის შერბილების გზები“. პრეზიდიუმმა თხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს კლიმატის გლობალური დათბობის შედეგად

მოსალოდნელ უდიდეს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ზიანზე და დაავალოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად, შეადგინოს საქართველოში კლიმატის გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული სპეციალური პროგრამა მოსალოდნელი ზარალის პროგნოზირების, აცილებისა და შერბილების მიზნით.

3 ივლისს პრეზიდიუმმა განიხილა საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ექსპერტული შეფასების შედეგები. საქართველოს კანონის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ (2005 წლის 23 დეკემბერი, №2469-რს) 10[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება „მისი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ვალდებულია საქმიანობის წლიური სამეცნიერო ანგარიში განსახილველად წარუდგინოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2007 წლის 3 იანვრის მონაცემებით 2006 წელს საქართველოში იყო 69 საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმართვის საფუძველზე ყველა ასეთმა დაწესებულებამ წარმოადგინა 2006 წლის სამეცნიერო ანგარიში. ანგარიშები განაწილდა აკადემიის 9 დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების მიხედვით და შესაფასებლად გადაეცა მეცნიერ-ექსპერტებს. სამეცნიერო განყოფილებებმა საექსპერტო დასკვნების საფუძველზე 69 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების 2006 წლის სამეცნიერო საქმიანობა დადებითად შეაფასეს. აკადემიის პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეც-

ნიერო განყოფილებათა დასკვნები და პრეზიდიუმის დადგენილება გაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

27 ივლისს პრეზიდიუმმა მოისმინა აკადემიის პრეზიდენტის აკად. თ.გამყრელიძის ინფორმაცია „თიბისი“ ბანკსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის თანამშრომლობის შესახებ.

პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. ფ.თოდუა დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტად.

პრეზიდიუმმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მოადგილედ საერთო საკითხებში დაამტკიცა ბიოლ.მეცნ.დოქტ. ფ.კალანდარიშვილი.

14 სექტემბერს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობაში ირ.აბაშიძის სახელობის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის განთავსების საკითხი, ვინაიდან რედაქციის შენობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გადასცა ი.ჭავჭავაძის უნივერსიტეტს. პრეზიდიუმის დადგენილებით რედაქციას გამოეყო სათანადო ფართობი აკადემიის პრეზიდიუმის V სართულზე, რომლის გასარემონტებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოყო 50000 ლარი. ირ.აბაშიძის სახელობის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის შენობა მოიხსნა აკადემიის ბალანსიდან.

ამავე სხდომაზე პრეზიდიუმის იურიდიულ სამსახურს დაევალა მასალების მომზადება სასამართლო წესით საქართველოს კონტროლის პალატის 1996 წლის აქტის საფუძველზე წარმოშობილი დავალიანების გასაჩივრებისათვის.

პრეზიდიუმმა მოიწონა შავი ზღვის კულტურის, ტურიზმისა და შოუ-ბიზნესის ცენტრის – ინტერნაციონალური ქალაქი-მუზეუმის „ახალი გონიო-აფსაროსის“ საავტორო პროექტი.

19 სექტემბერს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს:

1. აკადემიის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და შპს „საინვესტიციო კომპანიას“ შორის (დამფუძნებელი „GRDC“, რომლის პრეზიდენტია მამუკა ხაზარაძე) განახლებული იჯარის ხელშეკრულების პროექტს.

2. თხოვნით მიმართოს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს აკადემიის იჯარით გაცემული ფართის თანხიდან, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტში ირიცხება, გარკვეული ნაწილი გამოუყოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას მეცნიერთა სოციალური დაცვისა და აკადემიისათვის აუცილებელი სხვადასხვა მიმდინარე ხარჯის დასაფარავად.

19 სექტემბერს პრეზიდიუმის დადგენილებით დროებით შეჩერდა გამოჩენილ მეცნიერთა 2008 წლის სახელობით პრემიებზე წარდგენა ახალი დებულების დამტკიცებამდე.

12 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. აკადემიის პრეზიდენტმა აკად. თ.გამყრელიძემ საქართველოს პატრიარქის ილია II-ის შუამდგომლობის შესაბამისად აკადემიის პრეზიდიუმზე შემოიტანა წინადადება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ საპატიო წევრად მსოფლიო პატრიარქის, ყოვლად უწმიდესის ბართოლომეოს I-ის არჩევის შესახებ. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქვე-

დანაყოფების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების მიერ აკადემიის 2007 წლის ანგარიშის პროექტის მომზადების თაობაზე.

პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს მთიანეთში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის ხელშეწყობის პრობლემები, რომლებიც წარმოადგინა საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიამ და თხოვნით მიმართა:

1. საქართველოს პარლამენტს:

– ხელი შეუწყოს 1999 წელს მიღებული „საქართველოს მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების კანონის“ ამოქმედებას.

2. საქართველოს მთავრობას:

– სახელმწიფო აპარატში, საზოგადოებრივ საწყისებზე, შექმნას სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობს მთიანი რეგიონების მტკივნეულ პრობლემებზე სწრაფ რეაგირებას და დააჩქარებს მთის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.

– მთიანი რეგიონების რაიონულ ცენტრებში მოაწყოს „ტურისტული სახლები“, ბაზები და კლუბები სათანადო აღჭურვილობებით, სადაც ტურისტები გაივლიან წინასწარ მომზადებას და შეირჩევა მარშრუტები.

– დაავალოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიის წევრებთან და სპეციალისტებთან, შეიმუშაოს ტურიზმის განვითარების კონცეფცია, რათა მაღალ დონეზე მომზადდეს და განვითარდეს ტურიზმის ინდუსტრია საქართველოში.

28 დეკემბერს პრეზიდიუმმა მოისმინა აკად. რ.მეტრეველის ინფორმაცია 27-29 ოქტომბერს ქ.კიევში მეცნი-

ერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ შეიმუშავა პროექტი „საქართველოს პოლიტიკა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში (2015 წლამდე და შემდგომი პერიოდისათვის)“. აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებს დაევალათ დასკვნები აღნიშნული პროექტის შესახებ წარუდგინონ სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილებას პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველად.

პრეზიდიუმმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ მთავარ რედაქტორად დაამტკიცა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, მოადგილეებად ვიცე-პრეზიდენტები აკად. ფრიდონ თოდუა, აკად. გურამ თევზაძე და აკად. გურამ ხარატიშვილი, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი აკად. ოთარ ნათიშვილი. პრეზიდიუმმა დაამტკიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო საბჭო და სარედაქციო კოლეგია. სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან გამოჩენილი უცხოელი, მათ შორის, საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი ქართველი მეცნიერები. სარედაქციო კოლეგია შედგება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებისაგან.

დამტკიცდა გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიების მინიჭების სანიმუშო დებულება. სამეცნიერო განყოფილებებს დაევალათ, სანიმუშო დებულების საფუძველზე, შეიმუშაონ გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიების დებულებები. 2008 წლიდან გასაცემი პრემიების ნუსხა და მინიჭების რიგითობა დადგინდება საქართველოს მეცნიერებათა

ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ სამეცნიერო განყოფილებების წინადადებათა გათვალისწინებით.

2007 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიები მიენიჭათ:

ა.რაზმაძის სახელობის პრემია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს შაქრო ტეტუნაშვილს შრომათა ციკლისათვის – „ერთმაგი და ჯერადი ტრიგონომეტრიული მწკრივების შეჯამებადობისა და ერთადერთობის შესახებ“;

პ.ქომეთიანის სახელობის პრემია ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ზურაბ ქომეთიანს მონოგრაფიისათვის – „მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემების კინეტიკური ანალიზის საფუძვლები“;

ი.ბერიტაშვილის სახელობის პრემია ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს გურამ ბექაიას შრომათა ციკლისათვის – „ნათხემისა და შუამდებარე ტვინის ურთიერთობა და მათი როლი თავის ტვინის ინტეგრაციულ მოქმედებაში“;

პ.მელიქიშვილის სახელობის პრემია ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს ავთანდილ დოლიძეს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატს ირმა მიქაძეს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატს მიხეილ ჟღენტს შრომათა ციკლისათვის – „საქართველოში ქიმიური ეკოლოგიის ზოგიერთი პრობლემის კვლევა და გადაჭრა“;

ი.თარხნიშვილის სახელობის პრემია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს მერაბ ბერაიას შრომათა ციკლისათვის – „ჰემოდინამიკის თავისებურებანი მსხვილ სისხლძარღვებში და ათეროსკლეროზის ინიციალური ფაქტორები“.

პრეზიდიუმის 28 დეკემბრის სხდომაზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ 2007 წლის გამოჩე-

ნილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების ლაურეატებს, აგრეთვე, 2006 წლის ს.ჯანაშიას სახელობის პრემიის ლაურეატს, ისტ.მეცნ.დოქტ. მანანა ხიდაშელს გადასცა დიპლომები და ფულადი ჯილდოები.

აკადემიკოსმა ო.ნათიშვილმა პრეზიდიუმის წევრებს გააცნო საქართველოს სამეცნიერო ეროვნული ფონდის წერილები, რომლებშიც მადლობას უხდიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, აგრეთვე აკადემიის წევრებს ნ.ვახანიას, ნ.ბერიკაშვილს, რ.ბანცურს, თ.ონიანს, თ.იოსელიანს, ვ.ოკუჯავას საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუასა და ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდიების მიკუთვნების კომისიებში ნაყოფიერი მუშაობისათვის.